707 № 10488

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო

ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

ორშაბათი, 1 იანვარი 1990 წელი ● № 1 (2878) ● ПОНЕДЕЛЬНИК, 1 ЯНВАРЯ 1990 г.

5/707




გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" რედაქცია ახალ 1990 წელს ულოცავს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტის გ. მგალობლიშვილის ამ ფოტოპლაკატზე აღბეჭდილია მოწინავე თანამშრომელთა ერთი ჯგუფი:

№ 5 სახანძრო ნაწილის თანამშრომელი, შ/ს უფროსი ლეიტენანტი ნოდარ აბუაშვილი; დაცვის სამმართველოდან, მილიციის მაიორი გულივერ ბუხია; სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს მუშაკი, მილიციის მაიორი კახა თარგამაძე; ლენინის შს რაიგანყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ბეჟან ვაითაძე; საგზაო-საპატრულო სამსახურის ცალკეული დანაყოფის ინსპექტორი, მილიციის უფროსი სერჟანტი ალექსანდრე ბედიაშვილი; გლდანის შს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ოთარ კელდიშვილი.

**ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრებს, შინაგან საქმეთა სამმართველოების, სამსახურების, ორგანოებისა და ქვედანაყოფების უფროსებს, პოლიტგანყოფილებების, პოლიტნაწილების უფროსებს, მოადგილეებს პოლიტდარგში**

**საქართველოს** სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის, პოლიტიკური განყოფილების, პარტიული კომიტეტის სახელით გილოცავთ თქვენ და მთელს პირად შემადგენლობას ახალ 1990 წელს!

მოვიდა ახალი წელი და გადაიშალა ჩვენი ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი. იგი უნდა გახდეს ყველა იმ სასიკეთო ცვლილებების გამგრძელებელი, რომელიც პარტიამ წამოიწყო ჩვენს ქვეყანაში და ხორციელდება იმისათვის, რომ ნებისმიერმა საბჭოთა ადამიანმა თავისი საქმიანობის ყველა სფეროში თავი იგრძნოს სოციალისტური სახელმწიფოს ნამდვილ ბატონ-პატრონად.

ყველა ჩვენგანი ვერ შეხვდება ახალ წელს თავის ოჯახურ წრეში, სადღესასწაულო სუფრასთან. ასეთია ჩვენი ძნელი, მაგრამ ხალხისათვის მეტად საჭირო საქმე, რომელიც მოითხოვს თავდადებასა და ვაჟკაცობას, რადგან ჩვენ უნდა დავიცვათ ხალხის მშვიდობიანი შრომა, ღირსება და სახელი.

გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებასა და შრომაში. სიხარული და ბედნიერება იყოს თქვენი მუდმივი თანამგზავრი!

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია, პოლიტიკური განყოფილება, პარტიული კომიტეტი**

## ჩემი მამული

ამ ახალ წელს ჩემს მამულში სიო ქრის და ჩურჩულებს,
არემარე ილვიძებს და მთა-ბარი ყურს უგდებს.
განთიადის ჟამი დადგა, შრიალებენ ვერხვები,
ჩემო ტკბილო საქართველოვ შენ გეტრფი და გეხვევი.
წინაპართა საფლავს ვფიცავ, მე სიყვარულს გთავაზობ,
შენ გიმღერი, შენით ვხარობ, შენს მიწა-წყალს
ვდარაჯობ,
შენი სხივი, შენი სითბო, ცვარ-ნამივით მეამა
შენთან ყოფნას ნუ დამიშლი, გევედრები მე ამას.
შენზე შეყვარებული ვარ, ჰორხახულო მამულო,
შენზე ფიქრი არ მასვენებს, მსურს დიდება გარგუნო.
ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე, მომავლობა განგებამ,
ნუ დამიშლი მე სიმშვიდეს, წახვლის ჟამიც დადგება.

გევედრები ნუ დამჩაგრავ, მომეც თავისუფლება,
ტკბილად მინდა შენთან ვიყო სანამ დამიღამდება.
მე სიკეთე თუ არ ვთესე, მაშინ ღმერთიც გამიწყრეს,
ავი თუ გულს გავიკარე, საველ ხიდიც ჩამიტყდეს.
რა ვქნა მიყვარს ჩემი მხარე, ჩემი ერი ამაყი,
მისი მონა-მორჩილი ვარ, მესმის მისი ავკარგი.
ამ ახალ წელს საქართველო გაბრწყინდეს და გალაღდეს,
სანუკვარი გზებით ევლოს, სულიერად ამაღლდეს,
გაუმარჯოს ხალხის ნებას, განახლების დადგომას,
ერის შვილებს დიდება და, ვაშა ახალგაზრდობას.

ლევთერ ჟოჟუა.
ქ. ფოთი.

## სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა

**მოსკოვში** დამთავრდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა. ბოლო დღეებში განიხილავდნენ რამოდენიმე საკითხს, მათ შორის დიდმნიშვნელოვანი იყო კამათი, რომელიც გაიმართა სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კანონის პროექტის გარშემო. ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნის თაობაზე.

ყრილობამ მოისმინა შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. ბაკატინის მოხსენება და მიიღო დადგენილება „ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ"

ყრილობის ბოლო დღეს დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად იდგა და სხდომაზე პირველად მოისმინეს 9 აპრილს თბილისში მომხდარი ამბების საპარლამენტო კომისიის მოხსენება. სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლის არაობიექტური გამოსვლის პროცესში დეპუტატთა ერთმა მესამედმა პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი. შემდეგ ყრილობაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე. ყრილობამ ხმების დიდი უმრავლესობით დაგმო თბილისში 9 აპრილს გამოყენებული ძალადობის ფაქტი.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა მ. ს. გორბაჩოვმა.



## КОНКУРС НАЗЫВАЕТ ЛУЧШИХ

**КАК ОБЫЧНО**, в конце года подводятся итоги проделанной работы. Подведены итоги и объявленного в декабре прошлого года Министерством внутренних дел республики конкурса городских, районных и многотиражных газет на лучшее освещение вопросов деятельности ОВД.

Конкурс проводился с целью более полного и всестороннего освещения деятельности органов внутренних дел и общественных организаций по укреплению законности и правопорядка, формированию правовой сознательности граждан, работы милиции в трудовых коллективах и по месту жительства, показа опыта лучших сотрудников по выполнению постановлений партии и правительства в деле усиления борьбы с пьянством и алкоголизмом, нетрудовыми доходами, наркоманией и другими антиобщественными проявлениями.

В ходе конкурса ставилась задача введения рубрик, всесторонне отражающих жизнь и деятельность сотрудников милиции, их готовность к защите интересов государства и граждан от преступных посягательств, работу, связанную с повышением профессионального мастерства, искоренением причин правонарушений. Публикации на правоохранительные темы по условиям конкурса должны привлекать внимание общественности к проблемам охраны правопорядка и борьбы с преступностью, показывать работу общественных пунктов охраны порядка, отдельных общественников по искоренению правонарушений.

Следует отметить, что в МВД республики накоплен положительный опыт использования городской и районной печати в идеологическом обеспечении борьбы с правонарушениями и преступностью, воспитании трудящихся в духе соблюдения законности, усиления связей ОВД с общественностью.

В результате проделанной работы на сегодняшний день лишь 6 горрайорганов не выпускают тематические страницы В целом, в этом году тематические страницы не выпускали те райотделы, где отсутствует должность замполита. Это Джавский, Лентехский, Знаурский, Казбегский и Тианетский РОВД. В целом же за 10 месяцев было выпущено около 400 тематических страниц, объединивших более двух тысяч материалов на правоохранительные темы. Улучшилось качество опубликованных материалов. Они стали разнообразнее и интереснее. В ряде газет появились новые рубрики.

Как показывает практика, там, где взаимодействие с прессой организовано на должном уровне, создаются условия для успешного решения многих вопросов. Тематические страницы позволяют значительно повысить уровень информированности населения в вопросах борьбы с преступностью и профилактики правонарушений на компетентном, профессиональном уровне, добиться определенного влияния на формирование общественного мнения, укрепления авторитета органов внутренних дел.

По качеству подготовки материалов и системности публикаций тематических страниц следует выделить Озургетский РОВД (газета «Ленинис дроша»), Зестафонский РОВД (газета «Ленинели»), Гальский РОВД (газета «Ленинели»), Цхалтубский ГОВД (газета «Дроша»), Боржомский РОВД (газета «Боржоми»), Каспский РОВД (газета «Гантиади»), Мцхетский РОВД (газета «Мцхета»), Душетский РОВД (газета «Комунизмис гза»), Самтредский РОВД (газета «Цинсвла»), Харагаульский РОВД (газета «Ленинис дрошит»), Горийский горотдел и райотдел ,(газета «Гамарджвеба»), Руставский ГОВД (газета «Социалистури Рустави»), Сенакский РОВД (газета «Колхети»), Амбролаурский РОВД (газета «Комунизмис дроша»), Онский РОВД (газета «Гантиади»), Ахалцихский РОВД (газета «Цители дроша») и ряд других.

В этих органах совместно с редакциями газет из числа сотрудников милиции и профессиональных журналистов сформирован авторский коллектив. В подготовке тематических страниц активное участие принимают руководители горрайорганов, политработники, секретари партийных и комсомольских организаций, сотрудники отраслевых служб. Проводится здесь работа и по оказанию помощи внештатным корреспондентам в подготовке материалов и выборе актуальных тем.

В соответствии с условиями конкурса и принимая во внимание выразительность опубликованных на правоохранительные темы материалов, их эмоциональность, художественные особенности, действенность, указанные выше авторские коллективы ГОРОВД и редакции газет будут награждены грамотами МВД ГССР.

**С. МАМАЛАДЗЕ,**
**старший лейтенант милиции, старший инструктор пресс-группы политического отдела МВД ГССР.**

# ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

**სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. ვ. ბაკატინის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე**

**გარდაქმნა** პოლიტიკური ჩანაფიქრის მთავარი სტრატეგიის კალაპოტში შეუქცევადი გახდა.

ამავე დროს უდავოა სოციალური დაძაბულობის ზრდა. შარშან ყოველ თვე იმართებოდა 194 მიტინგი. წელს კი უკვე 400. მარტო თებერვალ-ნოემბრის პერიოდში გაფიცვები მოეწყო 1500 საწარმოში 1,4 მილიონი კაცის მონაწილეობით.

მკვეთრად გაიზარდა სისხლის სამართლის დანაშაული. სულ უფრო მეტად იჩენს თავს სხვადასხვა ფორმის უკანონობა.

ნეგატიური ცვლილებანი მოხდა დამნაშავეობის ხარისხობრივ მახასიათებელშიც. მან შეიძინა მკაფიოდ გამოხატული ანგარებით-გამომძალველობითი მიმართულება. ყაჩაღობამ, ძარცვამ, ქურდობამ, დატაცებამ დანაშაულობათა საერთო რიცხვის ორ მესამედს მიაღწია. მათი ზრდის ტემპმა 60-75 პროცენტს გადააჭარბა. ლოთობის ზრდის .განახლებასთან ერთად კვლავ იზრდება ამ მოვლენასთან დაკავშირებული დამნაშავეობა. 21 პროცენტით მეტი დანაშაული ჩაიდინეს არასრულწლოვანებმა. იზრდება ბოროტმოქმედთა აგრესიულობა და სისასტიკე, მათი წინააღმდეგობა მართლწესრიგის ძალებისადმი. მარტო 1989 წლის ცხრა თვეში დანაშაულთა აღკვეთისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს 146 თანამშრომელი დაიღუპა, 905 დაიჭრა. სამწუხაროდ ეს გაცილებით მეტია ვიდრე მთელ 1988 წელს.

გამწვავდა რეციდიული დამნაშავეობა. გამოვლენილი რეციდივის ხვედრითი წილი ყოველწლიურად 25-28 პროცენტს შეადგენს.

აღინიშნება სისხლის სამართლის ელემენტის პროფესიონალიზაცია. მნიშვნელოვანი რაოდენობის პირთა დანაშაულებრივი საქმიანობა ხდება მათი არსებობის ძირითადი წყარო. ამის შედეგად ხდება სისხლის სამართლებრივი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღორძინება. მათ პროპაგანდას უწევენ და აქტიურად ნერგავენ ახალგაზრდობაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ორგანიზებულ დამნაშავეობას არ განიხილავს ვულგარულ სისხლის სამართლის დამნაშავეობისაგან მოწყვეტით. ორგანიზებული დამნაშავეობა მისი განვითარების კანონზომიერი ეტაპია. ეს არის კავშირურთიერთობის სისტემა, რომელიც ბუნებრივად იქმნება დამნაშავეთა წრეში და ახდენს ცალკეული სახეობის დანაშაულებრივი საქმიანობის კონცენტრაციასა და მონოპოლიზაციას. ცხადია, რომ ჩვენს საზოგადოებაში პარაზიტობენ დანაშაულებრივი სტრუქტურები, რომელთა ფუნდამენტს წარმოადგენს ჩრდილოვანი ეკონომიკის ფინანსური პოტენციალი, ჰერს კი კორუმპირებული თანამშრომლები, უწინარეს ყოვლისა სამართალდაცვითი სისტემისა, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, სახელმწიფო აპარატის გადაგვარებული პირნი. საზღვარგარეთის სპეციალისტთა შეფასებით, სსრ კავშირი შედის მსოფლიოს იმ ოცი ქვეყნის რიცხვში, რომლებსაც ყველაზე განვითარებული ჩრდილოვანი ეკონომიკა აქვთ. ფარული ეკონომიკის საერთო მოცულობის ყველაზე უტყუარ ციფრად მეტწილ მეცნიერებს მიაჩნიათ სამოცდაათი-ოთხმოცდაათი მილიარდი. ფიქრობენ, რომ უახლოეს წლებში იგი გაიზრდება 100-130 მილიარდ მანეთამდე. სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლმა აპარატმა, განსაკუთრებით ბოლო დროს, სრული და ყოველმხრივი მტკიცებულობებისადმი გაზრდილი მომთხოვნელობის პირობებში ვერ შესძლეს გამოეჩინათ საკმარისი პროფესიონალიზმი, ვერ დაეუფლნენ დაწყებული ეკონომიკური რეფორმის. პირობებში ეკონომიკურ-პროფილაქტიკური მუშაობის ეკონომიკურ-სამართლებრივი საშუალებებსა და მეთოდებს. 1985 წლისათვის 1971 წელთან შედარებით ქვეყანაში დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გამოვლენილი დატაცება ხუთჯერ გაიზარდა, დამტაცებელთა 4 პროცენტზე კი მოდიოდა მთელი დატაცებული თანხის 62 პროცენტი. იუსტიციის ორგანოებმა 1985 წლიდან სასამართლოს გადასცეს 629 დატაცებასა და მექრთამეობაში ბრალეული 1 მილიონ მანეთზე მეტი ზარალის თანხის საქმეების გამო. მათ შორის ბრალეულთაგან 63-ს ჩამოართვეს მილიონ მანეთზე მეტი თანხის რეალური ფასეულობანი. გახშირდა კორუფციის შემთხვევები ბანკის სისტემაში. მაგალითად: კოოპერატივ „ტელურს", რომელსაც არავითარი ბაზა არ ჰქონდა მეორეული ნედლეულის გადასამუშავებლად, ამ საქმიანობისათვის ყოველგვარი შემოწმების გარეშე გამოეყო 188 მილიონი მანეთი კრედიტი. ნაღდი ფულის გაცემისათვის ბანკის მუშაკები იღებდნენ 160 ათას მანეთ ქრთამს.

კოოპერატივების ფაქტობრივმა უკონტროლობამ იდეალური შესაძლებლობანი შეუქმნა ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსნებს წინათ ნაძარცვი სახსრების ლეგალიზაციისა და მატებისათვის.

ამავე დროს თვით კოოპერატორები სულ უფრო ხშირად აწყდებიან სხვადასხვა ჯურის გამომძალველებს, როგორც თანამდებობის პირთა მხრიდან, რომლებიც იღებენ ქრთამს, შენობის მიცემის ან ნედლეულის გაცემისათვის ისე იმათი მხრიდან, ვინც იყენებს პირდაპირ ძალადობას ან შანტაჟს.

ჩვენს ქვეყანაში ორგანიზებული დამნაშავეობის განვითარების პროცესს ჯერ არ მიუღწევია მომწიფებული ფორმებისათვის. მაგრამ ეს არ გვაძლევს საბაბს არხეინობის თუ მოდუნებისათვის.

ამ მოვლენის სათანადოდ შეუფასებლობამ და მასთან კოორდინირებული მიზანმიმართული ბრძოლის ფაქტობრივმა უქონლობამ შეიძლება სწრაფად აღმოგვაფხვრევინოს ეს ფაქტი. კიდევ უფრო მტკიცდებიან დანაშაულებრივი გაერთიანებები, ფართოვდება მათი საქმიანობის სფერო. ახლახან მოსკოვის რეგიონში გამოვლენილია ათასზე მეტი კაცისაგან შემდგარი 6 ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. მათ გაინაწილეს გავლენის სფეროები, აკონტროლებენ კოოპერატივებს, ბაზრებს, სპეკულანტთა, მევალუტეთა და მეძავთა ჯგუფებს, ახორციელებენ თაღლითურ გარიგებებს ავტომობილების გაყიდვის დროს, აწყობენ რბევას, მიმართავენ გამოძალვას, ბინის ქურდობას. ჯგუფების მთელი რიგი წევრები კოოპერატივებში არიან, ყიდულობენ და ხელახლა ყიდიან კომპიუტერებს, ახორციელებენ სხვადასხვა უსაქონლო ოპერაციას.

ორგანიზებული გაერთიანებანი მოქმედებენ პრაქტიკულად ქვეყნის ყველა რეგიონში. სულ ქვეყანაში მიმდინარე წელს მხილებულია 1600 დამნაშავეთა ჯგუფი. ეს 600-ით მეტია, ვიდრე 1988 წელს.

უნდა ვივარაუდოთ იმ ტენდენციათა შესაძლო ნეგატიური განვითარება, რომლებიც უკავშირდება ორგანიზებული დამნაშავე კლანების წილნაყარობას ეროვნებათშორისო ურთიერთობების გამწვავების პროვოცირებასა და მასში მონაწილეობასთან. უკვე გამოვლინდა ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსანთა მიერ, ექსტრემისტული, ნაციონალისტური იძულებითი მოქმედების დაფინანსების ცალკეული ფაქტები.

ორგანიზებული დამნაშავეობის უაღრესად საშიში გამოვლინებებია ტერორიზმი, იმ თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა ეგრეთ წოდებული „შეკვეთილი მკვლელობანი", რომლებსაც აქტიური საარსებო პოზიცია უკავიათ კორუფციასთან ბრძოლაში. ბაქოში 50 ათას მანეთად მოაკვლევინეს „ბაქო ლუდის" დირექტორი შირალიევი. ძლიერდება დამნაშავეთა გაერთიანებების მისწრაფება მობილურობის, ტექნიკური აღჭურვისა და შეიარაღების გაზრდისადმი. ერთნახევარჯერ გახშირდა ტყვია-წამლისა და იარაღის დატაცებანი. დღეისათვის ძებნაშია დაახლოებით 9000 ერთეული ხრახნლულიანი იარაღი, მათ შორის 732 ავტომატი და 180 ტყვიამფრქვევი.

მოხსენების საინფორმაციო ნაწილის დამთავრებისას უნდა ითქვას, რომ დამნაშავეობასთან ეფექტიან ბრძოლას ხელს უშლის მოქმედი კანონმდებლობის მოძველებული ნორმები, სამართალგამოყენებითი პრაქტიკის მერყეობა.

პრაქტიკულად უმოქმედოდ არის კანონმდებლობის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბანდიტიზმისათვის. ქვეყანაში დღეისათვის აღძრულია მხოლოდ 6 ასეთი საქმე.

აღკვეთის ღონისძიების არჩევისას გაუმართლებელმა ლიბერალიზმმა გამოიწვია ის, რომ შედეგად 110 ათას მიაღწია იმათმა რიცხვმა, ვინც დაემალა გამოძიებასა და სასამართლოს. დღეს ჯერ კიდევ ძებნაშია 33 ათასი პირი.

საერთოდ ჩანს სამართალდარღვევათა სოციალური პროფილაქტიკის სისტემის აქტიურობის სერიოზული დაქვეითება. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სრული უმოქმედობის პირობებში იკვეთება რაზმების მუშაობა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად (რაზმებთა რიცხვი 2,2 მილიონით, ანუ 16 პროცენტით შემცირდა). მცირდება ამხანაგური სასამართლოების წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების აქტიურობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალა შეიმუშაოს დამნაშავეობასთან ბრძოლის პროგრამა, განახორციელოს სასამართლოების, პროკურატურის, გამოძიების, მილიციის ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გადიდებისა და განმტკიცების, მათი მუშაკების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი. რაგინდ მწარეც უნდა იყოს ამის თქმა, მიმაჩნია, რომ მილიცია არაქათის გამოცლამდე მუშაობს, მაგრამ ამ მუშაობას ეფექტიანობა, თანამედროვეობა აკლია.

ყველაზე უფრო არადამაკმაყოფილებლად ვაფასებთ ჩვენს მუშაობას ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციის სფეროში. სულ ბოლო დრომდე ერთიანობაც კი არ გვქონდა ორგანიზებული დამნაშავეობის ცნების განსაზღვრაში.

ახლა აზრთა სხვაობა დაძლეულია. მაგრამ ახალი ორგანიზაციული ფორმების შექმნას საიმედო კადრებით მათი შევსების გარეშე, მოღალატეობისა და კორუფციისაგან საიმედო დაცვის უზრუნველყოფის გარეშე ჭერჯერობით არ იძლევა იმ უკუგებას, რომლის იმედიც მომავალში გვაქვს.

უნდა ითქვას რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მკვეთრად შესუსტდა მუშაობა მილიციის თანამშრომელთა კორუფციის გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის. მიმდინარე წელს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან და პროკურატურასთან ერთად 11 თვეში ვამხილეთ შარშანდელზე 21 პროცენტით მეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მექრთამე თანამშრომლები.

წესრიგი და წესიერება მილიციაში დამნაშავეობასთან, მითუმეტეს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან წარმატებული ბრძოლის პირველი პირობაა.

წესრიგი მილიციაში იქნება. მთავრობის აქტიური მხარდაჭერით დამნაშავეობასთან ბრძოლის დროებითი კომიტეტების მუშაობის კონკრეტიზაციაში დეპუტატების დაინტერესებული მონაწილეობით მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში ახლა ბევრ რამეს აკეთებენ საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების კოლექტივები სამართალდაცვითი ორგანოებისათვის რეალური მატერიალური და ფინანსური დახმარების გასაწევად. მილიციისადმი ყურადღება, მისი მხარდაჭერა შესამჩნევად გაიზარდა. და ჩვენ მოვალენი ვართ მოვუფრთხილდეთ და კიდევაც მოვუფრთხილდებით ამას.

კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, განსაკუთრებით რთული ოპერატიული ვითარების რესპუბლიკებსა და ოლქებში, შექმნა სისხლის სამართლის სამძებროს დროებითი რეგიონთაშორისი ქვეგანაყოფები, ყველაზე საშიში დანაშაულების გამოვლენის სპეციალური ბრიგადები, რამაც ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი პოვა. შინაგან საქმეთა სამინისტროების, სამმართველოების უმრავლესობაში შეიქმნა სპეციალიზებული ქვეგანაყოფები, რომლებიც საშიშ დამნაშავეთა გაერთიანებების გამოვლენასა და მხილებას ეწევიან.

სამინისტროს გამოუყვეს სახსრები 1990 წელს გამომძიებელთა საშტატო რიცხვის 5000 კაცით გასაზრდელად. ვითარება აქ ხანგრძლივი დაქსაქსულობის შემდეგ ნორმალიზდება. ფართოვდება ძიების სასწავლო ბაზა. გათვალისწინებულია კრასნოიარსკში მეორე უმაღლესი საგამოძიებო სკოლის, ხოლო კალინინში მილიციისა და გამოძიების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის შექმნა.

პროკურატურის ორგანოებთან ერთად შემუშავებულია დანაშაულებრივი გაერთიანებების წევრების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამოძიების მსვლელობაში ერთობლივი საქმიანობის, სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობის გაუმჯობესების ფორმები და მეთოდები.

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად ხელმოწერილი ბრძანების საფუძველზე განსაზღვრულია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა სტრატეგია და ტაქტიკა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები, იუსტიციის სამინისტროები, მინისტრთა საბჭოები ამუშავებენ დამნაშავეობასთან ბრძოლის საერთო საკავშირო პროგრამას, მომზადდა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად გაეგზავნა 1990-1991 წლებისათვის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის უპირველეს ღონისძიებათა პროექტი, რომელიც შეთანხმებულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან.

ეს პროექტი ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოების სერიოზულ ტექნიკურ განახლებას. ნავარაუდევია ორი წლის განმავლობაში, შინაგან საქმეთა ორგანოებს გამოეყოთ 40 ათასზე მეტი ავტომობილი (წინათ იღებდნენ წელიწადში 5-5 ათასს), მათ შორის გაზრდილი დინამიკური მახასიათებლების მქონე ავტომობილები. უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო კავშირი, დაიწყოს მონაცემებისა და აღრიცხვების ბანკების კომპიუტერიზაცია. დამთავრდეს კრიმინალისტური იდენტიფიკაციის, პირადი შემადგენლობის დაცვისა და აქტიური თავდაცვის ახალი საშუალებებისა და მათი მეთოდების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს ქვეყანაში იარაღის სრულ ინვენტარიზაციას, ობიექტების ბინებისა და მოქალაქეთა ქონების დაცვის, მილიციის სასწრაფო გამოძახების ახალი სისტემების შექმნას.

დამტკიცდა, რომ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით მიმდინარე წელთან შედარებით გაიზარდოს 13,6 პროცენტით და შეადგენს 6,4 მილიარდ მანეთს.

გათვალისწინებულია, რომ 1990 წლის პირველი იანვრიდან ხელფასები მოემატებათ რიგით მილიციელებს, პროკურატურის ორგანოებს, სასამართლოებს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-საგამოძიებო დარგის მუშაკებს. ამავე დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანარჩენი კატეგორიის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების მომატებისათვის, რომელსაც, ვიმედოვნებთ მთავრობა განახორციელებს 1990 წლის მეორე ნახევრიდან. ნება მიბოძეთ, შევეხო ზოგიერთ საკითხს, რომელთა გადაწყვეტა საკანონმდებლო ორგანოებზეა დამოკიდებული.

პირველი. ჩვენი აზრით, დროა თანდათან აღვადგინოთ კანონის პატივისცემა. ჩვენ შემთხვევით, შეუმჩნევლად, თითქოს უნებლიედ ისე გავაუკუღმართეთ საზოგადოებრივი ცნობიერება, რომ ბევრს დემოკრატია აერია განუკითხაობაში და არად დაგიდევენ დისციპლინის მოთხოვნებს, კანონიერების, მართლწესრიგის მოთხოვნებსა და ხელისუფალთა მიერ ძალის ნებისმიერ კანონიერ გამოყენებას. უფრო მეტიც, ამბობენ, რომ ეს არის დემოკრატიის აღსასრული, გარდაქმნისაგან განდგომა, „ორგ[illegible]" და ა. შ. შემთხვევით როდი ძლიერდება დაწოლა სხვადასხვა ფორმით საკანონმდებლო და სამართალდამცავ ორგანოებზე, თანაც არა მარტო მორალური.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მივლინებული გამომძიებლები და ოპერატიული მუშაკები სულ უფრო ხშირად ხდებიან იძულებულნი აწარმოონ საგამოძიებო მოქმედება მხოლოდ შინაგანი ჯარების განაწესების თანხლებით. ასე იყო ფერღანაში, აფხაზეთში, მთიან ყარაბაღში.

ძლიერდება დაწოლა პროკურატურის ორგანოებზე, სასამართლოზე. სულ უფრო მეტად აღინიშნება აღგზნებული ბრბოს აქციები, რომელიც მოითხოვს დაკავებულთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა განთავისუფლებას. ასეთი ფაქტები მოხდა მოლდავეთში, საქართველოში, ლვოვში. საჭიროა კანონები მილიციის, შინაგანი ჯარების, ადვოკატურის უფლებამოვალეობების, საგანგებო წესების რეჟიმის შესახებ, სამართალდამცველი სისტემის მუშაკთა სამართლებრივი დაცულობის გაძლიერების შესახებ.

ახლა ნელა, მაგრამ მაინც დაჩქარებით ფართოვდება (თანამედროვე ოპერატიული კრიმინალისტური ტექნიკით მილიციის აღჭურვის პროცესი. მაგრამ ეს შეიძლება ვალუტის ფუჭი ფლანგვა აღმოჩნდეს, თუ ჩვენი კანონმდებელი განაგრძობს ჯიუტობას და არ ცნობს სასამართლოში მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებულია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, — კინოფირებს, ვიდეო და მაგნიტოფონების ჩანაწერებს.

სამწუხაროდ, ჩვენს წინადადებებს დიდხანს არავინ უჭერდა მხარს. უცნაური სურათი გამოდის. ჩვენში არ შეიძლება იმ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში, იტალიაში, პოლონეთში და ასე შემდეგ იყენებენ დამტკიცებისათვის.

მეორე. შემოგვაქვს წინადადება შეიქმნას უზენაესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტთან მუდმივ მოქმედი საექსპერტო კომისია, რომელშიც შევლენ თვალსაჩინო მეცნიერები და სამართალდამცავი საფინანსო ორგანოების გამოცდილი პრაქტიკოსი მუშაკები.

მესამე. იმ მიზნით, რომ შეიქმნას ქმედითი მექანიზმი კორუფციასთან წინააღმდეგ საბრძოლველად, და უწინარეს ყოვლისა, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების დონეზე, სამართალდამცავ ორგანოებში, სამინისტროებში, უწყებებში, — ჩამოყალიბდეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დეპუტატთა კომისია, მიენიჭოს მას ფართო უფლებამოსილება, კერძოდ, უფლება — გამოითხოვოს ნებისმიერი მასალები ნებისმიერი პირის შემოსავალზე, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას.

მეოთხე. საჭიროა განხორციელდეს სერიოზული ორგანიზაციული და ფუნქციონალური ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი სისტემის აგებულებაში საკავშირო მასშტაბით. მე უკვე ალარაპარს ვამბობ ინტერპოლში ჩვენი ოპერატიულ-სამძებრო სისტემის ნაწილის ინტეგრირების აუცილებლობაზე. ჩვენს ქვეყანაში უსათუოდ გვჭირდება მოქალაქეთა შემოსავლისადმი კონტროლის ზუსტი მექანიზმი, რომელიც სასაქონლო ურთიერთობის განვითარების პირობებში საიმედოდ გადაუღობავდა გზას ზედიზედ შემოსავალს, მითუმეტეს ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსნებისა და ორგანიზებული დამნაშავეობის ლიდერთა ხელში კონცენტრირებულ თანხებს, ჟურნალისტის, მეცნიერის, მწერლის, მსახიობის, პასუხისმგებლურ კონსტრუქციულ პოზიციას შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოების ჯანსაღი ძალების კონსოლიდირება. ეს კი დღეს-დღეობით უპირველესი ამოცანაა. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავაც კარგახნილობისა და საჯაროობის ვითარებაში ითანამშრომლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, კულტურის დაწესებულებებთან ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში.

ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სირთულე და მრავალგვარობა აშკარაა. იგი სცილდება არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ მთელი სამართალდამცველი სისტემის კომპეტენციის ფარგლებსაც. ეს საერთო სახელმწიფოებრივი პრობლემაა, რომელიც საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალების მობილიზაციას მოითხოვს.

(იბეჭდება შემოკლებით).

# С ЗАБОТОЙ О БУДУЩЕМ

**В ПОСЛЕДНЕЕ** время в нашей республике большое внимание уделяется демографическим проблемам. Не остаются в стороне от решения имеющихся здесь проблем и сотрудники органов внутренних дел.

В сентябре месяце нынешнего года на общем собрании отдела внутренних дел по охране Тбилметрополитена УВД Тбилгорисполкома по предложению заместителя начальника отдела полковника милиции Д. Хажаля для улучшения демографического состояния Грузии был создан демографический фонд отдела.

Ежемесячно в день зарплаты на добровольных началах, — рассказывает начальник отдела полковник милиции Г. Кобешавидзе, — каждый сотрудник нашего многонационального коллектива вносит свой вклад в демографический фонд. Затем эту сумму, — продолжает ответственный за сбор денег старший инспектор службы старший лейтенант милиции К. Огадзе, — которая с сентября месяца уже составляет 2.200 рублей, распределяем следующим образом, например: недавно двое наших сотрудников — рядовой милиции Д. Енукидзе и рядовая милиции Л. Миндикаури создали семью, и им было выделено из фонда 200 рублей, у рядового милиции П. Циклаури родилась вторая дочь и ему тоже выделили 200 рублей. У нас такой девиз — за каждого родившегося ребенка 100 рублей.

Недавно, в канун Нового года, мы решили оказать помощь многодетным семьям: в частности, младшему инспектору ОУР старшине милиции И. Эгнаташвили, у которого родился четвертый сын, командиру отделения сержанту милиции Г. Апциаури за рождение четвертой дочки и сержанту милиции Г. Бурджанадзе, у которого было 3 девочки и родился четвертый сын, мы вручили по 400 рублей.

При демографическом фонде создан совет для оказания помощи нуждающимся семьям, в частности, с Нового 1990 года будет оказываться помощь семьям, которые нуждаются в жилплощади и живут на квартирах, так как общежития своего отдел не имеет и лишь некоторые сотрудники живут в общежитии Управления метрополитена в Гдданском массиве.

В канун Нового года советом Ленинской комнаты, которой руководит командир взвода старший лейтенант милиции Г. Абрамов, была проведена выставка работ юных художников — детей сотрудников отдела, и вручены им памятные подарки. Кроме того, в отделе провели спортивные мероприятия по поднятию тяжестей, и по приказу начальника отдела победителям предновогодних соревнований сержантам милиции А. Кveладзе, М. Шарапидзе, Г. Бурджанадзе и Д. Болотаеву были объявлены благодарности и вручены денежные премии.

В заключение беседы, когда я покидал кабинет начальника отдела, он, поблагодарив за внимание, попросил передать поздравления коллективу редакции и всему личному составу МВД ГССР с Новым годом, пожелал счастья и радости семьям и успехов в работе.

Я с удовольствием выполняю это поручение.

**С НОВЫМ ГОДОМ, ДРУЗЬЯ!**

**А. МАЛАЯНЦ.**

# მოსალოცი მადლიერება

**ახლახან** შინაგან საქმეთა მინისტრის შ. გორგოძის სახელზე მოვიდა მადლობის ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ: მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს, ოქტომბრის რაიონში მდებარე დოქის შეს. № 2-ში საღამოს 20 სთ. და 30 წუთზე ელსადენიდან გაჩნდა ხანძარი. ცეცხლი ელვისებურად მოედო მთელს შენობას და შექმნა სერიოზული საშიშროება მის გვერდით მდებარე ეზოს.

თუ არა ოქტომბრის რაიონის სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობა, თუ არა მათი ოპერატიული, მამაცური ჩარევა, 5 მობინადრე დღეს უსახლკაროდ ვიქნებოდით დარჩენილები. დღეს, ასეთ მძაფრ, ურთულეს სიტუაციაში, როცა მთელ საქართველოს უჭირს, მიღებული ჭრილობების გამო, როგორ გვტკივა გული თითოეულ მოქალაქეს მომხდარი უბედურების გამო. ახლა კი შეიძლება ჩვენც შევმატებოდით უსახლკაროთა სიას.

უსაზღვროა მადლიერების გრძნობა ოქტომბრის რაიონის სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობისადმი. მათ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს გადარჩენას. მათ ნამდვილად ღირსეულად შეასრულეს მამულიშვილური ვალი თავისი ხალხის წინაშე. მადლობა თქვენ ბატონო შოთა, რომ ასეთი თანამშრომლები გყავთ გვერდით. უმორჩილესად გთხოვთ გამოუცხადოთ მადლობა ჩვენს გადამრჩენლებს ასეთი მამაცური, ოპერატიული ქმედითი ზომების მიღებისათვის და წაახალისოთ თითოეული მათგანი.

**ნატო სხულუხია,**
**მანანა ნიორაძე,**
**თინა მარკოზაშვილი,**
**მაია უზნაძე.**

## БУДНИ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА

# Грабители задержаны

**МНОГО** неприятностей приносят автолюбителям преступники, «специализирующиеся» на кражах частей с машин. Пользуясь все еще не изжитым дефицитом запчастей, они раскулачивают автомобили и сбывают их части по ценам «черного рынка».

В течение нескольких месяцев происходили ограбления автомашин в Ленинском, Октябрьском районах Тбилиси и близлежащих к городу регионах республики. К раскрытию дела подключилась оперативная группа, возглавляемая заместителем начальника Октябрьского РОВД майором милиции Г. Кешелашвили, в которую вошли и. о. начальника отдела ОУР капитан милиции Г. Гагнидзе, оперуполномоченные УР капитан милиции М. Учучишвили, старшие лейтенанты милиции Г. Алавердашвили, Г. Кавлашвили и Т. Давиташвили.

Проведенная членами этой группы объемная оперативная работа позволила установить, что во всех случаях, судя по почерку, действует, причем весьма умело, одна и та же группа. Преступники вскрывали дверцы машин тонкой металлической линейкой, после чего беспрепятственно изымали из них магнитофоны, различные части и декоративные детали, которыми некоторые автолюбители любят украшать свои автомашины.

Подозрение пало на жителя Тбилиси, ранее судимого Давида Ш., у которого появлялись запчасти, которые соответствовали тем, что были похищены с автомашин. Так, в частности, выяснилось, что он установил на крыше своей машины люк, похищенный в Манглиси.

Постепенно были выявлены и его сообщники — ранее судимые Вахтанг Д. и Бесик М. и несовершеннолетний Рой Г. После задержания у них в большом количестве были изъяты похищенные с машин ценности. На сегодняшний день подтвердились факты по 10 преступлениям, по которым преступники признали свою вину. После окончательного завершения следствия материалы будут переданы в суд, и любители легкой наживы понесут заслуженное наказание.

**А. ЦАТУРОВ.**

# მილიციის სადაგი დღეები







**ქ. ბათუმის** შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების დაცვის განყოფილების დანაყოფის მეთაური, მილიციის უფროსი სერჟანტი მურმან ზოსიძე 1982-84 წლებში მსახურობდა ავღანეთში, სადაც პირნათლად მოიხადა თავისი მოვალეობა. მილიციაში მუშაობის დროსაც გამოირჩევა სიბეჯითით და პატიოსნებით.

**რომ** იტყვიან ხუთი თითივით იცნობენ თავიანთ სამოქმედო უბანს ლანჩხუთის შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორები, მილიციის ლეიტენანტები: ტარიელ ხოფერია და გიორგი გურგენიძე. ფოტოზე ისინი აღბეჭდილი არიან სწორედ უბნის შემოვლის დროს.

**გორის** შს რაიგანყოფილების მოწინავე თანამშრომელთა შორის არიან მომკვლევი, მილიციის კაპიტანი ზურაბ თენაძე და უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გერონტი ტატიაშვილი. ისინი კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ, როგორც თანამშრომელთა, ასევე მოსახლეობას შორის.

**ზ. მგალობლიშვილის ფოტო.**

## Только факты

● **25 декабря в г. Ткварчели сотрудниками ГОВД задержан Отари Б., слесарь Ткварчельского СТО-10, который 23 августа в ночное время в г. Ткварчели из стоящей во дворе дома по ул. Дружбы автомашины совершил кражу автозапчастей. Часть похищенного изъята.**

● **25 декабря сотрудниками ЛОВД ст. Зестафони уличен проводник вагона поезда Тбилиси—Москва Демури К., который за проезд трех безбилетных пассажиров от ст. Хашури до ст. Сочи получил 40 рублей.**

● **25 декабря уч. инспектором Заводского РОВД г. Тбилиси совместно с подразделением ДПС УВД Тбилгорисполкома задержан Заза А., рабочий завода им. Димитрова, у которого изъят 1 кг «кокнара».**

# ათი შვილი, მართლა შვილი...

**აგერ** უკვე მეოცე წელია, რაც ნოდარ მოლოდინაშვილი შს ორგანოებში მუშაობს. იოლი და ია-ვარდით მოფენილი როდი იყო მისი ცხოვრების გზა, მაგრამ მომავლის რწმენამ, ოჯახისა და ერის სიყვარულმა შეაძლებინა ის, რაც მრავალთათვის მოუწვდომელია.

ოჯახში ერთი შვილი იყო. მშობლები ადრე დაეხოცა. მარტო დარჩენილს ხან ერთი ნათესავი იფარებდა, ხან მეორე. ასე გადიოდა წლები და დადგა ის დრო, როდესაც უნდა შეხვედროდა იმ ერთადერთს, თავის გულისწორს, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე მისი მეგზური იქნებოდა.

ოჯახში პირველი სიხარული ქალიშვილის გაჩენამ მოიტანა. ასეთი სიხარული აქედან მოყოლებული კიდევ ცხრაჯერ შემოვიდა მოლოდინაშვილების ოჯახში. წლები გადიოდა, ბავშვების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი მოთხოვნილება და შესაბამისად პრობლემებიც. ახალგაზრდა მრავალშვილიანი ოჯახის პრობლემები მრავალი თანამდებობის პირისაგან ხშირად უყურადღებოდ რჩებოდა. განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდა ახალგაზრდა ოჯახი, როდესაც რაიმე ელემენტარულ მოთხოვნაზეც კი უგულობის ყრუ კედელი აღიმართებოდა. მაგრამ სირთულის არ შეშინებიათ, მუდამ სჯეროდათ იმისი, რომ გამოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც მათ დახმარებას გაუწევდა.

დღეს, როდესაც ამდენი საქველმოქმედო ორგანიზაციები და ფონდებია შექმნილი, როდესაც დემოგრაფიული საკითხი მეტად მტკივნეულად დადგა, შს სისტემაში ეს სიახლე მაინც და მაინც აქტიურად ვერ შემოიჭრა.

რატომღაც, დღემდე არცერთი სამსახური არ იღებს შეფობას მრავალშვილიან ოჯახებზე, არადა საქმეს ეს ხომ ნამდვილად წაადგებოდა. მეტროპოლიტენის დაცვის განყოფილების გარდა, ჯერ არსად არ შექმნილა მრავალშვილიანი და ახალგაზრდა ოჯახებისათვის დახმარების ფონდი. ყოველივე ეს კი გასათვალისწინებელი და მოსაგვარებელია, რათა დღეს არსებულ პრობლემათაგან ყველაზე აქტუალური — დემოგრაფიული პრობლემა უახლოეს წლებში გადაჭრილ იქნას.

ჩვენი რედაქციის სახელით გვინდა მრავალშვილიან ოჯახს მივულოცოთ ახალი 1990 წელი, ვუსურვოთ ჯანმრთელობა და ერის სიმრავლე.

P.S. — რედაქციის თანამშრომლები ერთი დღის ხელფასს რიცხავენ დემოგრაფიულ ფონდში. კარგი იქნება თუ ამ ინიციატივას მხარს აუბამს შს სამინისტროს სხვა სამსახურები და ამით თავის გარკვეულ წვლილს შეიტანენ ერის გამრავლების საქმეში.

**ხ. ალავიძე.**



# ПРАЗДНИЧНЫЙ КОНЦЕРТ





**В КАНУН** Нового года в клубе подразделения милиции по охране сооружений водоснабжения г. Тбилиси состоялось вручение наград детям сотрудников подразделения, которые стали победителями прошедших недавно соревнований «Веселые старты». В заключение вечера состоялся праздничный концерт с участием вновь созданного хореографического ансамбля «Эгриси» под руководством В. Чкония.

**НА СНИМКАХ:** заместитель начальника подразделения по политчасти подполковник милиции А. Бобохидзе вручает памятные подарки Майе Черкезишвили и Ирине Сихарулидзе; выступает солистка ансамбля «Эгриси».

**ХОРОШИЙ** подарок преподнесли себе в канун Нового года спортсмены — сотрудники органов внутренних дел. Тбилисского гарнизона. На недавно закончившемся чемпионате ГССР по самозащите без оружия в г. Красноярске отличились пожарный ОПО УВД Тбилгорисполкома рядовой внутренней службы Г. Нацвлишвили, занявший первое место, и слушатель ТФМВШМ МВД СССР М. Маргнани, который занял второе место.

**НА СНИМКЕ:** награждение победителей.



## ჩვენი სტუმარია „ნიანგი"









— **ვფიქრობ,** როგორც იუბილარს პატივცემული თამადა ერთი სადღეგრძელოს შესმის უფლებას მომცემს, — თქვა დიდიკომ და ფეხზე წამოდგა.

— ბრძანეთ, — მივუგე მე.

— ამხანაგებო ამ სასმისით მინდა შევსვა ჩვენი მშობლების სადღეგრძელო.

— გაუმარჯოს შევძახეთ ყველამ ერთად და ფეხზე წამომდგრებმა დავცალეთ ჭიქები. ამას სხვა სადღეგრძელოებიც მოჰყვა. ბახუსი ნელ-ნელა გვიჯდებოდა ორგანიზმში და თავის ძალას თანდათან უფრო ამჟღავნებდა. მუსიკოსებმა „მარინას" მელოდია ააჟღერეს და ბახუსით ისედაც გამთბარი გონება უფრო შეახურეს. ბიჭებმა, სამივემ რიგ-რიგობით ვიცეკვეთ სვეტლანა ივანეს ასულთან და მთელი ჩვენი ევროპული ცეკვების ცოდნის არსენალი გადავუშალეთ. სვეტლანა ივანეს ასული გულიანად იცინოდა და სასმელი-

ქანით საავადმყოფოში მივიყვანეთ, სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ საათნახევრის შემდეგ სული დალია. ტყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი.

— დიდიკოს მშობლებს როდის შეატყობინეთ ეს ამბავი?

როგორც კი დიდიკო გარდაიცვალა მაშინათვე ვუდეპეშეთ.

მეორე დღეს დიდიკოს მამა, დავითი ჩამოვიდა და იმავე დღეს დიდიკოს ცხედარი საქართველოში გადაასვენეს.

— ვინ იყო კიდევ დავითთან ერთად? — მოულოდნელად ჩაეკითხა ოთარი.

— ერთი მამაკაცი ახლდა თან, მაგრამ მე მას არ ვიცნობ.

— არც გურამი იცნობდა?

— არ ვიცი. შესაძლოა რომ იცნობდა კიდეც, მაგრამ რესტორანში მომხდარი შემთხვევის გამო, სარამოს გურამს შიშისაგან სულ აცახცახებდა. დილას სასწრაფო დახმა-

ზ. თოფურია

# განსხვავებული ცრემლები

საგან აფაკლულ სახეზე ღია წითელი ვარდისფერი გადაჰკროდა. დიდხანს ვცეკვავდით, მერე კვლავ მაგიდას დავუბრუნდით და ლხინი გავაგრძელეთ. უკვე საკმარისად შეზარხოშებული ვიყავით, რომ ჩვენს მაგიდას მეზობელი მაგიდიდან ერთი ჩიატანის ნასვამი ახალგაზრდა მოუახლოვდა და მოგვმართა:

— ბიჭებო, ქართველები ხართ?

— დიახ ქართველები ვართ, — ყველას მაგივრად უპასუხა გურამმა.

— მე ანზორ დიასამიძე გახლავართ, — გაგვეცნო უცნობი და გააგრძელა:

— შეიძლება თქვენთან დავჯდე?

კი ბატონო, დაბრძანდით, — მიუგო დიდიკომ.

— ვერ ვიტან როცა ბატონობით მელაპარაკებიან — გააგრძელა მოსულმა.

— რას მეუბნებით, მართლა?... გამომწვევად ჩაეკითხა დიდიკო.

— მართლა. შენ რა ჩემი სახელი და გვარი არაფერს გეუბნება?!

— შენ რა შარზე ხარ მოსული? — გაცხარდა დიდიკო.

— რაო... რას მეუბნები?...

— ბიჭო თავი გამანებე!

— ვინაა შენი ბიჭო, შენი დედა...

— უხ შენი დედაც... გინებითვე უპასუხა დიდიკომ და სწრაფად გაარტყა ხელი. დიასამიძე სკამიდან გადავარდა, მერე უცებ წამოდგა და იღრიალა: — მაშ შენს თავს დააბრალე, ესეც შენ... და რევოლვერი ესროლა. დიდიკო მოცელილივით დაეცა იატაკზე. მერე იარაღმომარჯვებული დიასამიძე ჩვენ შემოგვიტრიალდა და გამყინავი ხმით იყვირა — არცერთი არ მომეკაროთ, თორემ ყველას დაგხოცავთ! კარგად არ ვიცი, მაგრამ შიშისა და მოულოდნელობის გამო ყველანი ადგილზე გავშეშდით, სროლის ხმაზე მილიციის მუშაკები შემოცვივდნენ. დიასამიძემ გაქცევა სცადა, მაგრამ მილიციის მუშაკებმა იგი განაიარაღეს და ხელბორკილი დაადეს. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ გონზე მოსვლაც კი ვერ მოვასწარით. როგორც შემდგომში გაირკვა ის ანზორ დიასამიძე ცნობილი რეციდივისტი ყოფილა. იმჟამადაც ციხიდან ყოფილა გამოპარული. ადგილობრივი გაზეთები სწერდნენ რომ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯეს.

— დიდიკო ადგილზევე გარდაიცვალა?

— არა, სასწრაფო დახმარების მან-

რებას გამოვუძახე და საავადმყოფოში მოვათავსე. ისე, რომ დავითს და იმ მამაკაცს გურამი არ შეხვედრია.

— ლაპარაკის დროს დავითს სახელით ხომ არ მიუმართავს იმ კაცისათვის?

არა. ყოველ შემთხვევაში მე არ გამიგონია. ეს კია, იმ კაცმა საყვედური გამოთქვა ჩვენს მიმართ: — ორი ლომივით ვაჟკაცი იქ იყავით და როგორ არ მოეხმარეთო. მე მოვუყევი მათ, როგორც მოხდა ყველაფერი.

— გურამი რამდენ ხანს იწვა საავადმყოფოში?

— სამ დღეს. მეორე დღეს ცახცახი შეუჩერდა. სიცხემაც დაუკლო, დამშვიდდა. მკურნალი ექიმი კიდევ აპირებდა მის გაჩერებას საავადმყოფოში, რადგან სთვლიდა, რომ ეს მისთვის უკეთესი იქნებოდა, მაგრამ გურამმა საავადმყოფოს მთავარ ექიმს სთხოვა, რომ გაეწერათ საავადმყოფოდან და დაარწმუნა, რომ უკვე მთლიანად გამოჯანმრთელებული იყო.

— ხომ არ გახსოვთ დავითთან რომ კაცი იყო, როგორი შეხედულებისა იყო? ან რაიმე დასამახსოვრებელი ნიშანი ხომ არ ჰქონდა?

— არა. ეს კია, რომ ოდნავ ჩქარა ლაპარაკობდა.

— საქმისათვის ეს უკვე ბევრი რამეა. მას შემდეგ კიდევ ვისმეს ხომ არ მოუკითხავს თქვენთვის?

— დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, გურამისთან ვიღაც ჩამოსულა. იმ დროს მე პრაქტიკული სემინარი მქონდა და სახლში არ ვიყავი. სემინარის დამთავრების შემდეგ ამხანაგები კინოთეატრში შევედით ახალი ფრანგული კინოსურათის სანახავად. სახლში მოგვიანებით დავბრუნდი. გასაღები კიბის ქვეშ იყო. გავაღე კარი და შიგნით შევედი. სინათლე ავანთე. მაგიდაზე ნაწერი ქაღალდი დამხვდა, რომელშიც ეწერა: — ასლან ძმაო, სასწრაფოდ მივფრინავ საქართველოში. ორ დღეში დავბრუნდები. გურამი. გავიდა ერთი კვირა გურამი არსად ჩანდა. ეს ყოველივე ცუდად მეჩვენა. ჯერ ვიფიქრე რომ გურამის მშობლებისათვის შეცნობებინა, მაგრამ გადავიფიქრე, ეგების გამოჩნდეს-მეთქი. ადგილობრივი მილიციის განყოფილებაში განვაცხადე: ერთი კვირის უკან სტუდენტი გურამ ჭუტუს ძე რურუა სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა — მეთქი. საკავშირო ძებნა გამოაცხადეს, მაგრამ ამაოდ.

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 47-52.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# Год белой лошади

**НУ, НАКОНЕЦ!.** Наконец-то эти мыши, драконы, змеи, которых если и отваживаешься любить, то никак не простой человеческой, а лишь экологической любовью, уступают место настоящей властительнице сердец!

Говорят, что белых лошадей в природе, по существу, нет. Те же, с которыми мы встречаемся, на самом деле просто очень рано поседевшие. А рождение белого жеребенка — событие крайней редкости. Уже принято, что в восхождении знака белой лошади на небосклоне нашей судьбы есть нечто исключительное. Значит, надеяться на удачу и перемены к лучшему мы можем с большими основаниями, чем обычно позволяем себе в начале каждого года.

Лошади мы обязаны возникновением Олимпийских игр: их основал в благодарность богам древнегреческий герой, победив жестокого царя в гонке на колесницах.

Крылатый конь Пегас приносил вдохновение древним грекам. На крылатом коне скакал герой армянского эпоса Давид Сасунский. Туркмены считают святыней каменный отпечаток копыта волшебного коня Дульдуля. А один из самых популярных сюжетов русской иконы — в[illegible] белом коне, Георгий [illegible]доносец, поражающий копьем дракона. Кстати, в сонме христианских святых есть двое — Фрол и Лавр, числящиеся покровителями лошадей, их праздник — 18 августа, а на иконах они обычно появляются в сопровождении целого табуна своих подопечных.

Как говорится в гороскопе: ум лошади схватывает мысли до того, как другие их высказали, что позволяет опередить их. Кстати, это свойство лошади и по-другому отмечено. Владимир Даль, составитель знаменитого толкового словаря, включил в него более шестидесяти пословиц и поговорок о лошади, среди которых оказались и приметы: лошадь зимой ложится — к теплу; трясет головой и закидывает ее кверху — к ненастью; фыркает в дороге — к радостной встрече.

Гороскопы звериного цикла приходят к нам с Востока. С неослабевающим интересом мы вчитываемся в сообщение, что людей, родившихся в год лошади отличают мудрость и талант, быстрота ума и склонность к слепой привязанности, любовь к шумным развлечениям и крайняя независимость.

**Г. РЕПИНСКАЯ,**
**корреспондент АПН.**

(Печатается с сокращениями).

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### ДИПЛОМЫ ЗА НАЛИЧНЫЕ

**В ЗАПАДНОГЕРМАНСКОМ Бремене полиция арестовала шайку мошенников, торговавших фальшивыми дипломами. Одна женщина-врач заплатила преступникам 40 тысяч марок за диплом профессора медицины, а коммерсант из Баварии купил докторскую степень за 18 тысяч марок. Невероятно, но факт — преступные дельцы продавали ученые степени американского университета Вайоминг, которого не существует вовсе.**

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 14360